ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

# განკარგულება № 191

„9" ივნისი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ავტომანქანის შპს „სინათლის ქალაქისათვის" დროებით უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, მე-6 პუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 3 ივნისის №22.07.648 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში რიცხული ავტომაქანა- TOYOTA PRADO (სახ. №BB579VV, საინდენტიფიკაციო №JTEBU29J00K003419, გამოშვების წელი- 2008, საწყისი ღირებულებით 69802 (სამოცდაცხრაათასრვაასორი) ლარი) შპს „სინათლის ქალაქისათვის" უსასყიდლოდ სარგებლობაში, სამი თვის ვადით, გადაცემის თაობაზე.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი